**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2021/02-34**
**ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT210014251)**

ქ. თბილისი 25 აგვისტო 2021 წ

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“** (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის კობა ხუბუნაიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „ბა-ნი“**, წარმოდგენილი დირექტორის **გურამი ქათამაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული, როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შემსყიდველის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) **სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმერეთის პრობაციის ბიუროს ქ. ქუთაისის ოფისის სარემონტო სამუშაოები** სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში **(NAT210014251)**

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული და მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული, ტენდერისათვის წარმოდგენილი ყველა დოკუმენტით, მათ შორის:

- ✓ **დანართი №1 - ხარჯთაღრიცხვა.**
- ✓ **დანართი №2 - სამუშაოების შესრულების ვადები.**
- ✓ **დანართი №3 - შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა და პირობები.**
- ✓ **შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.**

1.4. „სამუშაო“ - ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული პირობებით შესყიდვის ობიექტი.

1.5. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმერეთის პრობაციის ბიუროს ქ. ქუთაისის ოფისის სარემონტო სამუშაოების** (შემდგომში „მომსახურება“) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: (CPV **45442180**).

2.3 შესასყიდი სამუშაოს აღწერა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად და შეადგენს **90497,33 (ოთხმოცდაათიათას ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 33 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს, დღგ-ის ჩათვლით.

## 4. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

4.1 მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებიის თარიღიდან, არაუგვიანეს **60 (სამოცი) კალენდარული დღის** ვადაში, ხელშეკრულების დანართ №2-ში მოცემული პირობების შესაბამისად.

4.2 მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: **სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალისტი არჩილ შურღაია** (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი“).

5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს შესრულებული სამუშაოს ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი, უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

## 6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და შეესაბამება დანართი №3 - ით გათვალისწინებულ პირობებს.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში განახორციელოს ხარვეზის გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.3 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.4 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული სამუშაოს მიღებაზე.

## 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამუშაოს დასრულების შემდეგ, ორივე მხარის მიერ დადასტურდებული ხელმოწერით.

7.3 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ ანგარიშსწორების დროს უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან").

7.4 სამუშაოს (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს" ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალისტი **არჩილ შურღაია.**

## 8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება **2021 წლის საკუთარი შემოსავლებით.**

8.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 7.2 და 7.3 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.4 8.3 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.5 პუნქტში მითითებული პირი.

8.5 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს" ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

8.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

9.2.1 განახორციელოს ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

9.3 **შემსყიდველი ვალდებულია:**

9.3.1 მიიღოს შესრულებული სამუშაო;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი;

9.5.2 სამუშაოს შესრულება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1, №2, №3-ის შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

11.2.4 ხელშეკრულების 12.3. და 12.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%.

11.2.5 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის და ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან/და შეუსრულებლობისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული მომსახურების გამოსწორებას, ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

## 14. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**„შემსყიდველი“**
**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“**
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:
GE24NB0330100200165022
საიდენტიფიკაციო კოდი: 205390511

**„მიმწოდებელი“**
**შპს „ზა-ნი“**
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412739292
მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის #62
ტელ: (995) 557975858
ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
ა/ა GE24TB7869936080100011
ბანკის კოდი: TBCBGE22

**კობა ხუბუნაია**
**სააგენტოს უფროსის მოადგილე**

LEPL NATIONAL AGENCY OF CRIME PREVENTION,EXECUTION OF NON CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION

Digitally signed by LEPL NATIONAL AGENCY OF CRIME PREVENTION,EXECUTION OF NON CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION
Date: 2021.08.25 11:17:07 +04'00'

**გურამი ქათამაძე**
**დირექტორი**

Gurami Katamadze

Подписано цифровой подписью: Gurami Katamadze
DN: cn=Gurami Katamadze, serialNumber=60001122319, o=Citizen, c=GE
Дата: 2021.08.25 17:37:37 +04'00'

ქ.ქუთაისის პრობაციის ბიუროს ფასადის და შიდა
კაპ. შეკეთების სამუშაოების
ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: 90,497.33 ათ.ლარი

| N | შიფრი | სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნორმ. ერთ-ზე | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | I - დემონტაჟის სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | | საფარდეების მოხსნა ფრთხილად და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით | მ² | | 49.40 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 123.50 | 0.00 | 0.00 | 123.50 |
| 2 | | მდფ-ის და მპლასტმასის კარების დემონტაჟი დასაწყობებით | მ² | | 18.10 | 0.00 | 0.00 | 11.00 | 199.10 | 0.00 | 0.00 | 199.10 |
| 3 | | მ/პლასტმასის ფანჯრების დემონტაჟი | მ² | | 4.00 | 0.00 | 0.00 | 11.00 | 44.00 | 0.00 | 0.00 | 44.00 |
| 4 | | ფანჯრის რაფების დემონტაჟი | გრ/მ | | 5.60 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 22.40 | 0.00 | 0.00 | 22.40 |
| 5 | | მაგიდების და კარადების შეფუთვა და გატანა | ცალი | | 38.00 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 190.00 | 0.00 | 0.00 | 190.00 |
| | | - ცელოფანი ორმაგი | მ² | 3.00 | 114.00 | 2.00 | 228.00 | 1.00 | 114.00 | 0.00 | 0.00 | 342.00 |
| | | - სკოჩი | ცალი | 0.20 | 7.60 | 3.00 | 22.80 | 1.00 | 7.60 | 0.00 | 0.00 | 30.40 |
| 6 | | ბაინდერების გატანა გვერდით საწყობებში და შეფუთვა | მ³ | | 5.00 | 0.00 | 0.00 | 22.00 | 110.00 | 0.00 | 0.00 | 110.00 |
| | | - ცელოფანი ორმაგი | მ² | 3.50 | 17.50 | 2.00 | 35.00 | 1.00 | 17.50 | 0.00 | 0.00 | 52.50 |
| | | - სკოჩი | ცალი | 0.20 | 1.00 | 3.00 | 3.00 | 1.00 | 1.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 |
| 7 | | ხის თაროების მაგიდების და სხვა ინვენტარის დატვირთვა ა/მ-ზე | ცალი | | 24.00 | 0.00 | 0.00 | 6.00 | 144.00 | 0.00 | 0.00 | 144.00 |
| 8 | | ავეჯის ტრანსორტირება თბილისში | რეისი | | 1.00 | 0.00 | 0.00 | 150.00 | 150.00 | 600.00 | 600.00 | 750.00 |
| 9 | | ხელსაბანების დემონტაჟი შემრევით და ვინტილებით | კ-ტ | | 2.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 30.00 | 0.00 | 0.00 | 30.00 |
| 10 | | უნიტაზის დემონტაჟი ავზით და არკოს ვინტილით | კ-ტ | | 4.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 60.00 | 0.00 | 0.00 | 60.00 |
| 11 | | ტრაპის დემონტაჟი გაყვანილობით | ცალი | | 1.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 |
| 12 | | წყლის გამაცხელების დემონტაჟი | ცალი | | 1.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 20.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 |
| 13 | | რადიატორების დემონტაჟი გარეცხვა და დასაწყობება | ცალი | | 12.00 | 0.00 | 0.00 | 15.00 | 180.00 | 0.00 | 0.00 | 180.00 |
| 14 | | ელ.ჩამრთველების და შტეპცელების დემონტაჟი სადენის წვერების დაიზოლაციებით | ცალი | | 28.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 112.00 | 0.00 | 0.00 | 112.00 |
| 15 | | არმსტრონგის სანათების დემონტაჟი ფრთხილად შემდგომი გამოყენების მიზნით სადენის წვერების დაიზოლაციებით | ცალი | | 28.00 | 0.00 | 0.00 | 6.00 | 168.00 | 0.00 | 0.00 | 168.00 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | | ვინტილატორების დემონტაჟი მილგაყვანილობით | ცალი | | 3.00 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 30.00 | 0.00 | 0.00 | 30.00 |
| 17 | | წერტ. სანათების დემონტაჟი სადენის წვერების დაიზოლაციებით | ცალი | | 6.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 24.00 | 0.00 | 0.00 | 24.00 |
| 18 | | პლასტიკატის და არმსტორნგის ჭერების დემონტაჟი (10.5*5.1) | მ² | | 15.60 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 62.40 | 0.00 | 0.00 | 62.40 |
| 19 | | ლამინატების იატაკების დემონტაჟი პლინტუსებით ვარგისი ნაწილების გადარჩევით (15%) | მ² | | 222.00 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 555.00 | 0.00 | 0.00 | 555.00 |
| 20 | | კაფელის და მეტლახის დემოტნაჟი კონსტრუქციამდე | მ² | | 27.40 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 68.50 | 0.00 | 0.00 | 68.50 |
| 21 | | ნალესის მოხსნა კედლებიდან და ჭერიდან (ფასადის ჩათვლით) ხარაჩოების გამოყენებით | მ² | | 243.60 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 609.00 | 0.00 | 0.00 | 609.00 |
| 22 | | კონდენციონერის შიგა და გარე ბლოკების დემონტაჟი ფრთხილად შემდგომი გამოყენების მიზნით | კ-ტ | | 9.00 | 0.00 | 0.00 | 100.00 | 900.00 | 0.00 | 0.00 | 900.00 |
| 23 | | საღებავის ფენის მოხსნა კედლებიდან დაჭერიდან დაკეჭნით | მ² | | 866.40 | 0.00 | 0.00 | 1.50 | 1299.60 | 0.00 | 0.00 | 1299.60 |
| | | - ზუმფარა | მ² | 0.008 | 6.93 | 11.00 | 76.24 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 76.24 |
| 24 | | ინვენტარული ხარაჩოების მოწყობა დაშლით | მ² | | 130.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 520.00 | 0.00 | 0.00 | 520.00 |
| | | - ხარაჩოს ლით.ელემენტები | ტნ | 0.0015 | 0.20 | 3000.00 | 585.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 585.00 |
| | | - ხარაჩოს ხის ელემენტები | მ³ | 0.0008 | 0.10 | 685.00 | 71.24 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 71.24 |
| | | - ფენილის ფარი | მ² | 0.0550 | 7.15 | 21.00 | 150.15 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 150.15 |
| 25 | | სამშენებლო ნაგავის შეგროვება ტომრებში | მ³ | | 10.50 | 0.00 | 0.00 | 6.00 | 63.00 | 0.00 | 0.00 | 63.00 |
| | | - ტომარა | ცალი | 20.00 | 210.00 | 0.95 | 199.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 199.50 |
| 26 | | სამშენებლო ნაგავის გატანა შენობიდან Lსაშ=20,00მ (არსებულის ჩათვლით | მ³ | | 7.20 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 36.00 | 0.00 | 0.00 | 36.00 |
| 27 | | სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ა/მანქანაზე ხელით (Ծ=2.0 ტნ/მ³) | ტნ | | 35.40 | 0.00 | 0.00 | 6.00 | 212.40 | 0.00 | 0.00 | 212.40 |
| 28 | | სამშენებლო ნაგავის ტრანსპორტირება 25,0 კმ-ზე | ტნ | | 35.40 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 354.00 | 354.00 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | ჯამი თავი - I | | | | | 1370.93 | | 6088.00 | | 954.00 | 8412.93 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | II - ფასადის სარემონტო სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | | ფასადის შელესვლა წყალმედეგი ც/ხსნარით ფანჯრებს ძირში h=0.70მ (2.5 სმ.) | მ² | | 30.90 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 309.00 | 0.00 | 0.00 | 309.00 |
| | | - ცემ ხსნარი მ-100 | მ³ | 0.0260 | 0.80 | 125.00 | 100.43 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 100.43 |
| | | - კალმატორი w8 | ლიტ | 0.1500 | 4.64 | 15.00 | 69.53 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 69.53 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.1200 | 3.71 | 4.00 | 14.83 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 14.83 |
| 2 | | ფასადების შელესვა ც/ხსნარით - 2.5 სმ | მ² | | 89.10 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 891.00 | 0.00 | 0.00 | 891.00 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | - ცემ ხსნარი მ-100 | მ$^3$ | 0.0260 | 2.32 | 125.00 | 289.58 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 289.58 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.0800 | 7.13 | 4.00 | 28.51 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 28.51 |
| 3 | | ფერდილების შელესვა ც/ხსნარით | გრ/მ | | 93.6 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 936.00 | 0.00 | 0.00 | 936.00 |
| | | - ცემ ხსნარი მ-100 | მ$^3$ | 0.0060 | 0.6 | 125.00 | 70.20 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 70.20 |
| | | - სამღებრო კუთხოვანა | გრ/მ | 1.0500 | 98.3 | 0.80 | 78.62 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 78.62 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.0300 | 2.8 | 4.00 | 11.23 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 11.23 |
| 4 | | ქერის ლესვა ც/ხსნარით დამხეფებულ ზედაპირზე | მ$^2$ | | 50.00 | 0.00 | 0.00 | 12.00 | 600.00 | 0.00 | 0.00 | 600.00 |
| | | - ქვიშა (0-5) | მ$^3$ | 0.0030 | 0.15 | 24.00 | 3.60 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.60 |
| | | - ცემენტი მ-500 | ტნ | 0.0013 | 0.07 | 250.00 | 16.25 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 16.25 |
| | | - წბო პვა | კგ | 0.2000 | 10.00 | 4.00 | 40.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 40.00 |
| | | - ც/ხსნარი მ-100 | მ$^3$ | 0.0210 | 1.05 | 125.00 | 131.25 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 131.25 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.0150 | 0.75 | 4.00 | 3.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.00 |
| 5 | | მ/პლასტმასის ფანჯრების მოწყობა საკეტით (1.4+2.60) | მ$^2$ | | 4.00 | 0.00 | 0.00 | 5.00 | 20.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 |
| | | - მ/პლასტ. ფანჯარა საკეტით (თეთრი) | მ$^2$ | 1.0000 | 4.0000 | 140.00 | 560.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 560.00 |
| | | -სხვა ხარჯები | ლარი | 0.7000 | 2.8000 | 4.00 | 11.20 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 11.20 |
| 6 | | ფანჯრის საცრემლეების მოწყობა თუნუქით - 12.0 სმ | გრ/მ | | 22.00 | 0.00 | 0.00 | 7.00 | 154.00 | 0.00 | 0.00 | 154.00 |
| | | - შეღებილი თუნუქი | მ$^2$ | 0.2500 | 5.5000 | 21.50 | 118.25 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 118.25 |
| | | - თვითმჭრელი თუნუქით | ცალი | 5.0000 | 110.0000 | 0.06 | 6.60 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 6.60 |
| | | - სილიკონი სისტა 310 მლ | ცალი | - | 6.0000 | 10.00 | 60.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 60.00 |
| 7 | | კერამო - გრანიტის პლინტუსები მოწყობა h=10.0 სმ | გრ/მ | | 44.0 | 0.00 | 0.00 | 14.00 | 616.00 | 0.00 | 0.00 | 616.00 |
| | | - კერამო გრანიტი | მ$^2$ | 0.1200 | 5.2800 | 23.00 | 121.44 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 121.44 |
| | | - წ/ცემენტი | კგ | 0.8000 | 35.2000 | 0.50 | 17.60 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 17.60 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.0700 | 3.0800 | 4.00 | 12.32 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 12.32 |
| 8 | | ფასადის შეღებვა ფასადის საღებავით (ფერი შეთანხმებით) | მ$^2$ | | 150.0 | 0.00 | 0.00 | 7.00 | 1050.00 | 0.00 | 0.00 | 1050.00 |
| | | - ფასადის გრუნტი | კგ | 0.1200 | 18.0000 | 3.00 | 54.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 54.00 |
| | | - ფასადის ფითხი | კგ | 0.7900 | 118.5000 | 0.60 | 71.10 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 71.10 |
| | | - ფასადის საღებავი (მაღალი ხარისხის) | კგ | 0.6300 | 94.5000 | 8.00 | 756.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 756.00 |
| | | - სკოჩი სამღებრო (90,0 მ) | ცალი | 0.0100 | 1.5000 | 6.00 | 9.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 9.00 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.0800 | 12.0000 | 4.00 | 48.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 48.00 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | ჯამი თავი - II | | | | | 2702.54 | | 4576.00 | | 0.00 | 7278.54 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | III - შიგა სარემონტო სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | | კედლების ლესვა ც/ხსნარით | მ$^2$ | | 74.00 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 740.00 | 0.00 | 0.00 | 740.00 |
| | | - ცემ ხსნარი მ-100 | მ$^3$ | 0.026 | 1.92 | 125.00 | 240.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 240.50 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.080 | 5.92 | 4.00 | 23.68 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 23.68 |
| 2 | | ც/ხსნარის მოჭიმვა მავი ქვიშით 5.0 სმ | მ$^2$ | | 10.60 | 0.00 | 0.00 | 7.50 | 79.50 | 0.00 | 0.00 | 79.50 |
| | | - ცემ ხსნარი მ-75 | მ$^3$ | 0.052 | 0.55 | 115.00 | 63.39 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 63.39 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.060 | 0.64 | 4.00 | 2.54 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 2.54 |
| 3 | | კედლების მოპირკეთება კაფელით (ფერი შეთანხმებით) | მ$^2$ | | 28.50 | 0.00 | 0.00 | 16.00 | 456.00 | 0.00 | 0.00 | 456.00 |
| | | - კაფელი ( მაღალი ხარისხის ) | მ$^2$ | 1.050 | 29.93 | 22.00 | 658.35 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 658.35 |
| | | - ცემ ხსნარი მ-100 | მ$^3$ | 5.000 | 142.50 | 1.00 | 142.50 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 142.50 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | - კაფელის კანტი | გრ/მ | - | 64.80 | 1.50 | 97.20 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 97.20 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.130 | 3.71 | 4.00 | 14.82 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 14.82 |
| 4 | | **მეტლახის დაგება იატაკზე (ფერი შეთანხმებით)** | **მ²** | | **10.60** | **0.00** | 0.00 | **16.00** | **169.60** | **0.00** | **0.00** | **169.60** |
| | | - მეტლახი ( მაღალი ხარისხის ) | მ² | 1.050 | 11.13 | 24.00 | 267.12 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 267.12 |
| | | - წ/ცემენტი | კგ | 6.000 | 63.60 | 0.50 | 31.80 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 31.80 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.080 | 0.85 | 4.00 | 3.39 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 3.39 |
| 5 | | **მეტლახის პლინტუსების მოწყობა H=7.0 სმ** | **გრ/მ** | | **4.70** | 0.00 | 0.00 | **14.00** | **65.80** | **0.00** | **0.00** | **65.80** |
| | | - მეტლახი | მ² | 0.100 | 0.47 | 24.00 | 11.28 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 11.28 |
| | | - წ/ცემენტი | კგ | 0.600 | 2.82 | 0.50 | 1.41 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1.41 |
| | | - სხვა ხარჯები | ლარი | 0.070 | 0.33 | 4.00 | 1.32 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 1.32 |
